



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (10.094)
21-28 ოქტომბერი 2023 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირული გამოცემა

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები დადოფლისწყაროში



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ქალაქ დადოფლისწყაროში ინფრასტრუქტურულ პროექტებს ასრულებს.

პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები, მიმდინარეობს ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია.

მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ **გიორგი ციბაქაძე** და დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიასვილი** ადგილზე მოინახულეს.

პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება შინამოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია, ხელოვნური ტბის, საფეხმავლო და ველობილიკების მოწყობა, ტბის გარშემო პირსებისა და ტბაზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობა. ასევე მიმდინარეობს პარკის მიმდებარედ არსებული საფეხ-

ბურთო სტადიონის რეაბილიტაცია.

დადოფლისწყაროში პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში დაფინანსებული პირველი ეტაპის სამუშაოების შედეგად, დასრულდა რუსთაველის და ჰერეთის ქუჩების რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 40 შენობას, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, შადრევანი და მოსასვენებელი სკამები.

ამავე პროგრამით დაფინანსებული მეორე ეტაპის სამუშაოების შედეგად, განხორციელდა რუსთაველის, ჰერეთის, ფიროსმანის, გორგასლის და თეატრის ქუჩების რეაბილიტაცია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხმავლო ბილიკებს, არსებულ ლობებსა და ქიშკრებს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა და სრულად განახლდა რუსთაველის და ჰერეთის ქუჩაზე არსებული სკვერები. ასევე, პროექტის განხორციელების შედეგად, ჰერეთის ქუჩაზე შეიქმნა სანიაღვრე სისტემა

პროგრამა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და ჯამური ინვესტიცია 30.6 მილიონი ლარია.



პირებს, რომელთაც მიწის ნაკვეთი უკანონოდ დაირეგისტრირეს, მისი დათმობა ან სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურება მოუწევთ

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი განიხილა, რომელიც „სისხლის სამართლის კოდექსის“ ორ მუხლს - 180-ე (თაღლითობა) და 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღები ან გამოყენება) ეხება.

როგორც მომხსენებელმა, მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, ვახტანგ ბაჩიაშვილმა განაცხადა, იმ შემთხვევაში თუ პირებს 2023 წლის პირველ სექტემბრამდე, აღნიშნული მუხლებით ცალკე ან ერთობლივად ჩადენილი აქვთ დანაშაული, რომლის შედეგადაც მათ საკუთრებაში დაირეგისტრირეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სახელმწიფო მათ სთავაზობს ამნისტიის გავრცელებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზიანს სრულად აანაზღაურებენ.

„მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ამნისტიის აქტი, აღნიშნულ პირებს, 2024 წლის პირველ სექტემბრამდე, შესაძლებლობა ექნებათ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ მიატოვონ, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი მათ საკუთრებაში არ არის ან სხვა ფორმით შეუძლებელია მისი სახელმწიფოსთვის დაბრუნება ამ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება უნდა გადაიხადონ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ“ - აღნიშნა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

პროექტის თანახმად, თუ პროცესი მიმდინარეობს პროკურატურაში, გადაწყვეტილებას სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიიღებს პროკურორი, ხოლო პროცესი მიმდინარეობს სასამართლოში - გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე.

ვახტანგ ბაჩიაშვილის განცხადებით, ამნისტია არ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც დანაშაული ჩადენილია საჯარო მოხელის ან საჯარო უფლებამოსილების განმარტოებელი სხვა პირის მიერ, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მას ორგანიზებული ჯგუფი ახორციელებდა.

პროექტის თანახმად, ამნისტია გავრცელდება თანააღმსრულებლის, თანამონაწილის და ასევე, იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა, თუ იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. ამასთან, პირი, ვისზეც გავრცელდება ამნისტია, ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება. კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

ყველის შემოწმებული ნიმუშების 26%-ში დამაბინძურებლები აღმოჩნდა

საქართველოს რეგიონებში შემოწმებული ყველის ნიმუშების 26%-ში კოლიფორმული ბაქტერიები - სალმონელა და (კოაგულაზა დადებითი) სტაფილოკოკი აღმოჩნდა.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის ხელმძღვანელის, ვახტანგ კობალაძის თქმით, ორგანიზაციამ 30 ნიმუში შეამოწმა, საიდანაც 8 ნიმუში დამაბინძურებელი აღმოჩნდა.

„უვნებლობის შემოწმება ჩვენი მეორე ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს და ამისთვის დონორის დაფინანსება გვაქვს. პროექტის ფარგლებში ჩვენი რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციები გვყავს შერჩეული, რომლებიც ყველის ნიმუშებს საქართველოს 4 რეგიონში ყიდულობენ. დღეის მონაცემებით, 35 ნიმუშია შემოწმებული. დარღვევა 8 ნიმუშშია აღმოჩენილი. ყველი 3 სხვადასხვა პარამეტრზე შევამოწმეთ, ნაწილი კოლიფორმებსა და სალმონელაზე, მეორე ნაწილი კოლიფორმებსა და სტაფილოკოკზე. ყველში სხვა დარღვევებიც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს 3 საქართველოში გავრცელებული დამაბინძურებლებია, რაც ჰიგიენური მოთხოვნების დაუცველობასთანაა დაკავშირებული. როგორც გითხარით, დარღვევა 8 ნიმუშში აღმოჩნდა, ზოგან არის 1, ზოგან 2 დამაბინძურებელი. ძირითადად დამაბინძურებელი აღმოჩნდა მცირე მენარმების, ან ოჯახური მეურნეობის მიერ წარმოებული ყველი, ქარხნული ყველი მხოლოდ 1 აღმოჩნდა დამაბინძურებული“ - განაცხადა კობალაძემ.

ორგანიზაცია სავაჭრო ქსელში წარმოადგენილ რძის ნაწარმის შემოწმებას ლაბორატორიული კვლევის ჩატარებას გეგმავს. ამის შესახებ კობალაძემ მედიაპოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, სურსათის ეროვნული სააგენტო ამ ეტაპზე წელიწადში მხოლოდ 100 ნიმუშს ამოწმებს, რაც ზოგადი სურათის შესაქმნელად არასაკმარისია.

„საქართველოში წლების განმავლობაში რძის ნაწარმის ფალსიფიკაცია ერთ-ერთი პრობლემაა, რომელიც სურსათის ბაზარზე არსებობს. რძის ნაწარმის ფალსიფიკაცია მცენარეული ცხიმის გამოყენებით ხდება. როდესაც რაიმე პროდუ-

ქტი რძის ნაწარმის სახელწოდებით იყიდება, არ შეიძლება, რომ მასში მცენარეული ცხიმი იყოს გარეული. მაგრამ, სამწუხაროდ, არაკეთილსინდისიერი ადამიანები ამას აკეთებენ და იქიდან გამომდინარე, რომ ეს უფრო იაფი ჯდება, წარმოებისას აღნიშნულ ზერს მიმართავენ. ჩვენმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2010-იანი წლების დასაწყისში რძის სხვადასხვა ნაწარმი გამოიკვლია და ბევრ მათგანში მცენარეული ცხიმი აღმოაჩინა, რის შემდეგაც პეტრია შევიშავეთ, რომელსაც ბევრმა ადამიანმა მოანერა ხელი, ამის შემდეგ ხელისუფლებას მივმართეთ. ამ საკითხს 1-2 წლის მუშაობა დასჭირდა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი იქნა მიღებული. მანამდე, ნებისმიერი პროდუქტი რძის ნაწარმის სახელწოდებით შეიძლებოდა, გაყიდულიყო.

კონტროლი მხოლოდ 2015 წლიდან დაიწყო. ამ საკითხის გაკონტროლება „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ დაეკისრა. ამას შემდეგ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ და ჩვენი ჩვენი მწირო შესაძლებლობების ფარგლებში რძის ნაწარმის შემოწმებას ვახდენთ. ყოველი შემოწმებისას დარღვევები. დარღვევის შემთხვევაში საექსპერტო: ბაზრიდან შესაბამისი პარტიის ამოღება და მცირე ჯარიმა 200- 500 ლარის ოდენობით. თუ ფალსიფიკაცია ჩაითვალა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებაც ატარებს. შესაბამისად, სურსათის ეროვნული სააგენტო ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უგზავნის. ბოლო ინფორმაცია რაც გვაქვს, 2023 წლის მარტის თვისაა, დამნაშავეებმა პასუხი მხოლოდ 2 შემთხვევაზე დააკვირებინათ ავგს. ამ დარღვევის საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს მიერ განეული ძალისხმევა საკმარისი არაა. „სურსათის ეროვნული სააგენტო“ ყოველწლიურად კი ამოწმებს დაახლოებით 100 ნიმუშს, მაგრამ ბაზარზე იმდენი რძის პროდუქტია, 100 ნიმუშს შემოწმება საკმარისი არაა. მნიშვნელოვანია, რომ პროცესში საზოგადოება უფრო აქტიურად ჩაერთოს და შესაძლებლობების ფარგლებში მონიტორინგი განვახორციელოთ. ამას წლების განმავლობაში ვცდილობთ“ - ამბობს კობალაძე და მეტი ნიმუშის შემოწმების უზრუნველსაყოფად საზოგადოებას ფინანსურ დახმარებას სთხოვს.



წელს, უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის 258 ფაქტი გამოვლინდა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, მიმდინარე წელს, 62 აფთიაქში, უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის 258 ფაქტი გამოავლინა.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ცნობით, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ფარმაცევტული დაწესებულებები უნებართვოდ და ურეცეპტოდ ახდენდნენ ფსიქოტროპული მედიკამენტების რეალიზაციას.

„გატარებული ღონისძიებების შედეგად, რეგულირების სააგენტომ, ავტორიზებული აფთიაქებიდან, 11 341 684 ერთეული ფსიქოტროპული მედიკამენტის, ურეცეპტოდ რეალიზაციის ფაქტი გამოვლინა. 97 753 ერთეული კი სააგენტომ იმ აფთიაქებიდან ამოიღო, რომლებსაც ფსიქოტროპული

მედიკამენტების რეალიზაციის ნებართვა არ გააჩნიათ.

გამოვლილი დარღვევებთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გადაეგზავნა სასამართლოს. გარდა ამისა, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, 14 ავტორიზებული აფთიაქიდან 8-ს ნებართვა გაუუქმა, 12 ფარმაცევტს კი საქმიანობის უფლება, 3 წლით, შეუჩერა.

აღნიშნული უკანონო ფარმაცევტული საქმიანობები, დარღვევის სიმძიმის მიხედვით, 6000-დან 16000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. ასევე, კანონდარღვევის შესახებ, ინფორმაცია, გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. აღნიშნულია ინფორმაციამ.

თუ საქართველო EU-ს კანდიდატი გახდება, ყოველწლიურად 400 მლნ ლარის გრანტებს მიიღებს

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი შეფასება გამოაქვეყნა.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტის შესრულება და კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება მნიშვნელოვანია არამხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ საბიუჯეტო მიმართულებითაც. TI აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუკი კანდიდატის სტატუსს მოიპოვებს ქვეყანა, ყოველწლიურად 400 მილიონ ლარამდე EU-ს გრანტები გახდება ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი.

TI-ის რეკომენდაციები 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე:

მისასალმებელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება, თუმცა ის მაინც მაღალია და ბიუჯეტის კანონის დამტკიცებამდე, მთავრობა მის შემცირებას უნდა ეცადოს. დეფიციტის შემცირება ფასების და ლარის კურსის სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, იგი უნდა უზრუნველ ბანკს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებაში დაეხმარება, მთავრობის ვალის ტვირთს კიდევ უფრო შეამცირებს და ქვეყნის საკრედიტო რეიტინგს გააუმჯობესებს. გასათვალისწინებელია რეგიონში მიმდინარე ომებიც, რაც ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირებას ართულებს;

შემცირებული უცხოური გრანტების მნიშვნელოვნად ზრდისთვის მთავრობამ წლის ბოლომდე უნდა შეასრულოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსისთვის საჭირო რეკომენდაციები. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების 2014-2021 წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირისგან ყოველწლიურად დამატებით 400 მლნ ლარამდე გრანტის მიღების შესაძლებლობა გაუჩნდება;

ბიუჯეტთან თანხის ხარჯვის ეფექტურობის ასამაღლებლად გამკაცრების საჭიროებას პროგრამული ბიუჯეტის სწორად შედგენის კონტროლი. განსაკუთრებული ყურადღება პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნების სწორად დასახვას და მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორების სწორად შერჩევას უნდა მიექცეს. დღემდე პროგრამული ბიუჯეტის პრიორიტეტი ფორმალურად რჩება და რეალურად ის მხოლოდ ბიუჯეტის ტექნიკურ ნაწილში არის ასახული; ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები, რომლებიც დანართშია მოცემული, ბიუჯეტის შესახებ კანონის ძირითადი ტექსტის ნაწილი უნდა გახდეს.

TI-ის ძირითადი მიგნებები ბიუჯეტის პროექტზე:

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.5%-ით, ხოლო 2024 წელს 5.2%-ით გაიზარდება. ვინაიდან მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა, წლიური ზრდის ტემპის 6.5%-მდე შენარჩუნება რეალური ჩანს. მომავალ წელს 5.2%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული რუსეთ-უკრაინის ომის მსვლე-

ლობაზე; 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 1.7 მლრდ ლარით გაიზარდება და 23.9 მლრდ ლარს მიაღწევს. ასეთ მატებას საგადასახადო შემოსავლების 1.6 მლრდ ლარით დაგეგმილი ზრდა განაპირობებს; 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს საქართველოს მთავრობა ევროკავშირისგან 44 მლნ ლარით ნაკლებ გრანტს მიიღებს. ჯამში, 2024 წელს მისაღები 261 მლნ ლარის გრანტიდან ევროკავშირზე და ევროკავშირში შეძლებული ქვეყნების მთავრობებზე 146 მლნ ლარი მოდის, ხოლო 115 მლნ ლარი სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მოგებიდან მისაღები თანხაა;

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯი (გადასახდელური) 24.2 მლრდ ლარი იქნება, რაც 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებზე 1.8 მლრდ ლარით მეტია; ყველაზე მეტად 3 სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება: ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 627 მლნ ლარით იზრდება და 7.7 მლრდ ლარს ხდება, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 262 მლნ ლარით იზრდება და 2.3 მლრდ ლარს ხდება, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 100 მლნ ლარით იზრდება 1.4 მლრდ ლარს ხდება; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 25 მლნ ლარით იზრდება და 205 მლნ ლარს მიაღწევს. ზრდას ძირითადად ხელფასების მატება იწვევს. დასაქმებულთა რაოდენობა არ იზრდება, ისევ 3,850 ადამიანი იქნება დასაქმებული; საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი სულ მცირე 10%-ით იზრდება. მათ შორის, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასები 20%-ით გაიზარდება. ხელფასების ზრდა შრომის ანაზღაურებაზე წლიურად გამოყოფილი თანხის 282 მლნ ლარით მატებას იწვევს;

2024 წლიდან 70 წლამდე პირთა პენსია 20 ლარით იზრდება და 315 ლარს ხდება, ხოლო 70 და მეტი წლის პირთა პენსია 50 ლარით მოიმატებს და 415 ლარს გახდება. პენსიის ზრდა ბიუჯეტის ხარჯების 446 მლნ ლარით ზრდას იწვევს; ბიუჯეტის დეფიციტი 2.3 მლრდ ლარით (მშპ-ის 2.7%) იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი კანონით დაშვებულ საზღვრებშია (არ სცდება მშპ-ის 3%-ს), ის მაინც მაღალ ნიშნულზეა;

2024 წელს მთავრობა 3.5 მლრდ ლარამდე ვალს აიღებს. 2024 წლის ბოლოს მთავრობის ვალი 32.6 მლრდ ლარს მიაღწევს, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 38.2% იქნება. 2024 წელს მთავრობის ვალის ძირის და პროცენტის დაფარვის ხარჯი 3 მლრდ ლარამდე, რაც მაგალითად, სასკოლო განათლებაზე გამოყოფილ საბიუჯეტო დაფინანსებას 2.4-ჯერ, ხოლო თავდაცვის ხარჯებს 2-ჯერ აღემატება;

ზოგ შემთხვევაში ბიუჯეტის პროგრამების სათანადოდ შედგენა კვლავ პრობლემად რჩება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამის მიზანი განათლების ხარისხის ამაღლება არ არის და მას არც შესაბამისი ინდიკატორები ახლავს.

სალომე ზურაბიშვილი კვლავ საქართველოს პრეზიდენტი

როგორ მიმდინარეობდა იმპიჩმენტის განხილვა და რატომ ჩაპარდა კენჭისყრა?

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე რჩება - პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხი ჩავარდა, ასე ხმა ვერ შეგროვდა და კენჭისყრისას ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მხოლოდ 86-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ერთი კი წინააღმდეგ წავიდა. პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, თუ იმპიჩმენტს პარლამენტის წევრთა შესაბამისი რაოდენობა არ დაუჭერს მხარს, საკითხი მოხსნილად ითვლება და თანამდებობის პირისთვის იმავე ბრალდების წარდგენა დაუშვებელია. დღეს უმრავლესობაში „ხალხის ძალის“ ჩათვლით 84 დეპუტატია, კენჭისყრისას, პარლამენტის პლენარულ სხდომაში დარბაზში, „ქართული ოცნების“ უმრავლესობის წევრების გარდა, „ევროპელი სოციალისტები“, „გირჩის“ წევრები და „მოქალაქეები“ ალექო ელისაშვილი იმყოფებოდნენ. დარბაზში იმყოფებოდა თავად პრეზიდენტი ზურაბიშვილიც. კენჭისყრა ფარული იყო.



კენჭისყრამდე პარლამენტში იმპიჩმენტის განხილვის პროცესი ხმაურის ფონზე მიდიოდა, პრეზიდენტს სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცა, თუმცა, შემდგომ ზურაბიშვილმა დეპუტატების მიერ მისთვის შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა. ზურაბიშვილმა „ქართული ოცნება“ კვლავ ლიად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მას კონსტიტუცია არ დაურღვევია. „ოცნებას“ კი კვლავ კითხვები აქვს, როგორც უმრავლესობა აცხადებს, თუ პრეზიდენტი კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედებდა, რატომ არ გამოიყენა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა, რომელიც განკუთვნილია კანონის შესაბამისად მოქმედებისთვის. „ოცნება“ ამბობს, რომ პრეზიდენტმა დეპუტატების შეკითხვებს თავი იმიტირაც აარიდა, რომ ამ ევროპულ ტურნეს არანაირი შედეგი არ ჰქონია, ეს კი უმრავლესობის კითხვების მთავარი თემა იყო. მათივე შეფასებით, პრეზიდენტი არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ თემებზე აპელირებდა. რაც შეეხება ოპოზიციას, „ნაციონალური მოძრაობა“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესს ფრაქციის ოთახიდან ადევნებდნენ თვალს და აცხადებდნენ, რომ „შოუში“ მონაწილეობას არ მიიღებენ. ამასთან, მათ თან ჰქონდათ ბარათები, რომელსაც რეგისტრაციისას და კენჭისყრისას იყენებენ.

ოპოზიციის ნაწილმა კი, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა დეპუტატებში იღებდა მონაწილეობას, იმპიჩმენტის განხილვას ცირკი და შოუ უწოდა და პრეზიდენტს მოუწონდა, რომ კვლავ აიღოს ბილეთი და იაროს საერთაშორისო ვიზიტებზე ისე, როგორც აქამდე დადიოდა „მტრის ჯინაზე“. მათი შეფასებით, ზურაბიშვილს კონსტიტუცია არ დაურღვევია და „ოცნებასთან“ ზურაბიშვილი მართალია. იმპიჩმენტის პროცესმა პარლამენტში მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ევროპული ტურნეთი, რომელზედაც მთავრობის თანხმობა არ ჰქონია, კონსტიტუცია დაარღვია.

„ეს დღეც დადგა, საქართველო ამა-საც მოესწრო“ - ასე დაიწყო სიტყვით გამოსვლა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში, სადაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს განიხილებოდა. მან „ოცნება“ და საკონსტიტუციო სასამართლო მწვავედ გააკრიტიკა. „სხვა არაფერში და ამაში ვი-

თომც და პროცესით კანონის უზენაესობას ამტკიცებთ. ამ დროს კი, 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება შევა, არა როგორც კანონის უზენაესობის გამარჯვება, არამედ როგორც ერთპარტიული უზენაესობის გამყარება სასამართლო სისტემაზე. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელზეც უნდა იდგეს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო, სრულად გამოვიდა თავისი როლიდან, გადაინაცვლა პოლიტიკურ სფეროში და წინ ვერ აღუდგა პარტიის პოლიტიკურ ნებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აბუჩად აიგდო და დააკინა კონსტიტუციის 78-ე მუხლი ევროინტეგრაციის შესახებ. ესე იგი, თავადვე არ შეასრულა ამ მუხლით დაკისრებული ვალდებულება, რომელიც ყველა და არა ექსკლუზიურად მთავრობისა, ყველა კონსტიტუციურ ორგანოზე ვრცელდება. გამოგნებელია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა მმართველი პარტიის თავმჯდომარის პოლიტიკური არგუმენტაციით და სრულად გადმოიტანა დასკვნაში“ - განაცხადა ზურაბიშვილმა, რომლის თქმით, „სამმა მოსამართლემ შეძლო გადაერჩინა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ საქართველოს მართლმსაჯულების რეპუტაცია“.

„მათ გაცოცხლეს ჩვენი საუკუნოვანი მართლმსაჯულების საამაყო ტრადიცია. მათი განსხვავებული აზრი გავრცელდება ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, აღიარებული იქნება მათი დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი. ხვალინდელი სტუდენტები კი, ამით იამაყებენ და ამ მაგალითზე გაიზრდებიან. ეს იმედისმომცემია... საკონსტიტუციომ თუკი საკუთარ სინდისს გადააბიჯა, ახლა თქვენი ჯვრია! მე აქ არც არაფრის დამტკიცებას ვაპირებ და არც ვინმეს დარწმუნებას იმაში, რაც ისედაც ცხადზე ცხადია. კონსტიტუციის არც არსი და არც სულისკვეთება არ დამირღვევია. ბრალდებების გასამყარებლად თქვენ უნდა წარმოგედგინათ მტკიცებულებები და ვერც ერთი ვერ წარმოადგინეთ! ვერ მოიტანეთ ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რაზეც აპელირებდით, რომ ხან საბოტაჟს ვუწყობდი ჩვენს ევროპულ გზას, ხან თურმე შედეგი ვერ დავდე, ხან მოლაპარაკებებს ვანარმოებდი, როცა არ ვანარმოებდი, ხან რა და ხან რა... ვერ დაამტკიცეთ, რომ რამე დავაშავე, ან რამე დავაკელი ჩვენი ქვეყნის დაცვას და ევროინტეგრაციის გზაზე მის მხარდაჭერას. ჩემი თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ, გადაამოწმოთ და დაურეკოთ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს, შარლ მიშელს, ემანუელ მაკრონს, ან კიდევ ალარ კარუსს, ედგარს რინკევიჩს, გიტანას ნაუსედას... სია შემოიღია გაავადრეკო...“ - აღნიშნა თავის სიტყვაში საქართველოს პრეზიდენტმა.

„ესენი კი, ის ლიდერები არიან, რომლებზეც ხვალ ჩვენი სტატუსის მინიჭებაა დამოკიდებული და უნდა ითქვას, რომ ამ საიმპიჩმენტო პროცესით თქვენ მხოლოდ მე კი არა და მე სულაც არა, არამედ ამ ლიდერებს აყენებთ შეურაცხყოფას და ქვეყანას იზოლაციისკენ მიაქანებთ. საკვირველია ისიც, რომ ამ დროს და ეს კონტრასტი ბევრისმთქმელია, დიდი მოწინებით ეპრობით ოკუპანტ ქვეყანას და მის ლიდერებს, მეტიც - ლიად იმსახურებთ ქებას ოკუპანტებისგან და ეს არც კი გეუხერხულებათ; ისიც არ გეუხერხულებათ, როცა ჩემი მისამართით ოკუპანტი ქვეყნისა და თქვენი წამოძახილები ერთი-ერთში ემთხვევა... მივმართავ ჩვენს პარტნიორებს, მე ამ ქვეყნის პრეზიდენტი, რამეთუ წარმოვადგენ სწორედ ამ ხალხს და მის ისტორიულ არჩევანს, მაშასადა-



მე, მაქვს სრული ლეგიტიმაცია და უფლებამოსილება, მათთან ერთად და მისი სახელით ვითხოვო ამ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. მჯერა, რომ სტატუსზე გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენი პარტნიორები მხედველობაში მიიღებენ ერთი მხრივ, ქართველი ხალხის მრავალჯერ დადასტურებულ მისწრაფებას და მეორე მხრივ, საქართველოსა და ევროპის საერთო გეოპოლიტიკურ გამოწვევებს“ - ასე დაასრულა სიტყვა სალომე ზურაბიშვილმა.

„მინდა გკითხოთ, მაშინ თქვით ტყუილი, თუ ახლაც იზიარებთ იმავე პოზიციას 2008 წლის ომთან დაკავშირებით, ეს ძალიან პრინციპულ საკითხია“, - ასე მიმართა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. მისივე განმარტებით, თუ სალომე ზურაბიშვილი ამ კითხვაზე პასუხის გაცემას „გაექცევა“, საზოგადოება დუმის თანხმობად მიიღებს... უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს კითხვით მიმართა, საქართველო იმსახურებს თუ არა კანდიდატის სტატუსს.

„დღეს ჩამოთვალეთ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები, თქვენ მოგვიყვიეთ თუ შეიძლება, რას ელაპარაკებოდით. ვერსიებსაც გეტყვი, შეიძლება ელაპარაკებოდით, საქართველოში რაც თქვით, რომ საქართველოს სტატუსი არ ეკუთვნის... გაგვიმზილეთ, არავინ იცის დასურულ კარს მიღმა რაზე საუბრობდით. ბოლო-ბოლო, გვითხარით თქვენი პოზიცია, ეს ქვეყანა იმსახურებს თუ არა კანდიდატის სტატუსს დღევანდელი მოცემულობით და დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ეს დღეს მაინც გაიგოს ხალხმა“, - განაცხადა მდინარაძემ. როგორც პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა განაცხადა, საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური შეკითხვა, თუ კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედა პრეზიდენტმა, ლოგიკურია, რომ თანხაც უნდა გამოიყენოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო თუ ამას არ აკეთებს, გამოდის, რომ კონსტიტუციის შესაბამისად არ მოქმედებდა.

„მოქალაქეების“ ლიდერის, ალექო ელისაშვილის განცხადებით, რეალურ პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტ „სალომე ზურაბიშვილს ლანძღავს და შარს დებს“ იმის გამო, რომ საზღვარგარეთ წასვლა მთავრობას არ შეუთანხმა, რითაც კონსტიტუცია დაირღვა.



მმართველი გუნდი თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს. როგორც ჩანს, შემდგომი პოლიტიკური ნახტომისთვის ემზადება, ანუ პრეზიდენტის უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვას გეგმავს, რადგან არის საუბრები იმაზე, რომ ქვეყნის შიგნით უცხოელ წარმომადგენლებთან საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრის საკითხი კანონის დონეზე უნდა მოწესრიგდეს. როგორ გაგრძელდება პრეზიდენტის, ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთობა, სალომე ზურაბიშვილმა უკვე განაცხადა, რომ მას არც კონსტიტუციის არსი და არც სულისკვეთება არ დაურღვევია; „როგორც ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილს, რომელიც გაასამართლეს, მაგრამ ვერაფერი ვერ დააკლეს, ქვეყანაში მრავალგზით და ფორმით ევროპა მაინც შემოიყვანა“, ამიტომ, მასაც არაფრის ემინია და დღეს მხოლოდ ერთი გეგმა აქვს, ამ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვება“.

„არ მეგონა, რომ საქმე აქამდე მივიდოდა, მაგრამ სიტუაცია ჯერჯერობით ბუნდოვანია. უფრო ველოდი, რომ სალომე ზურაბიშვილი კონფლიქტზე უარს იტყვოდა. კარგი იქნებოდა, მისი სტილი პოლიტიკურ სიმალღეზე ყოფილიყო, მაგრამ ის გადაეშვა იმ სტილში, რომლითაც ერთმანეთს ებრძვიან ოპოზიცია და ხელისუფლება. რაც შეეხება მის მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებას, არა მგონია, რომ ოპოზიციას სალომე უნდოდეს. ის ოპოზიციისთვის მანამდე არის საინტერესო, სანამ ხელისუფლებას აკრიტიკებს; ოპოზიცია სალომეს არ ენდობა, ერთმანეთს არ ენდობიან... საკმარისია პრეზიდენტის მოქმედებაში მკვეთრი მოძრაობები შეინიშნონ, რომ თვითონვე გზას ჩაუხერგავენ. რაში სჭირდება ოპოზიციას ზედმეტი ლიდერი თავის რიგებში?“ - აცხადებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე და დასძენს: „მის მიმართ ინტერესი დიდი არ იქნება, რადგან ზურაბიშვილი უპარტიო პოლიტიკოსია, ანუ ამ პოლიტიკურ სპექტრში ის ანგარიშგასაწივეი ძალა ვერ იქნება, საზოგადოებაშიც ბოლო მოვლენების გამო ავტორიტეტი დაკარგა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ არც სალომე ზურაბიშვილის სურვილია მომავალი პოლიტიკური გეგმები საქართველოს დაუკავშიროს, უფრო დასავლეთი ეგულება ნავსაყუდელად. ეს დაპირისპირებაც ხელისუფლებასთან და აუიოტაჟი უფრო იმისთვისაა, რომ დასავლეთის თვალში გმირი და მსხვერპლი გამოჩნდეს. აქ მის კარიერას დასავლეთი ვერ უზრუნველყოფს, თანაც ერთი უფრო განმავლობაში მისი უფლებები უფრო შესუსტდება, და ძალიან ცუდი საყურებელი იქნება პრეზიდენტისა და ხელისუფლების ურთიერთობა“.

სკოლებმა დირექტორები აირჩიეს

13-16-17 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რვა საჯარო სკოლაში დირექტორის არჩევნები გაიმართა. სამინისტროს მიერ წარდგენილი კანდიდატის არჩევა მხოლოდ გამარჯვების საჯარო სკოლაში არ მოხერხდა, დანარჩენ სკოლებში დირექტორები მალალი მხარდაჭერითა და ხმაურის გარეშე, 6 წლის ვადით აირჩიეს. რვიდან ორ სკოლაში იყო წარდგენილი ახალი კანდიდატი, დანარჩენ შემთხვევებში სამინისტრომ მეორე ვადით მოქმედი დირექტორები წარადგინა. დირექტორების არჩევნები 2020 წელს უნდა გამართულიყო, თუმცა პანდემიამ პროცესი გააჩიანურა და ამ დრომდე ყველა სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მართავდა.

- ეთერ ოთარაშვილი** — ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლა — 11 ხმა;
- ლალი იაკოვიძე** — ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლა — 7 ხმა;
- თამარ ქეთელაური** — ხორნაბუჯის სკოლა — 7 ხმა;
- ანა ლათიგაშვილი** — ოზანის სკოლა — 7 ხმა;
- ხათუნა მაქალაქაძე** — ზემო მაჩხაანის სკოლა — 8 ხმა;
- თამარ ნაბიარიძე** — ზემო ქედის №2 სკოლა — 6 ხმა;
- მაია სიმონიძე** — არხილოსკალოს სკოლა — 7 ხმა;
- ინო სულიაშვილი** — გამარჯვების სკოლა — 3 ხმა; (ვერ აირჩიეს)

სოფელ გამარჯვებაში განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი სკოლის დირექტორის კანდიდატი არ აირჩიეს. სამეურვეო საბჭომ მოქმედ დირექტორს, ნინო სულიაშვილს, რომელიც ხელახლა იყო წარდგენილი, დირექტორად არჩევაზე უარი უთხრა. არჩევნები 17 ოქტომბერს გაიმართა.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ქეთი ბიკაშვილი ადასტურებს, რომ საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობამ ერთადერთ კანდიდატს მხარი არ დაუჭირა.

„საბჭოში სულ 8 წევრია. ორი არ მონაწილეობდა საპატიო მიზეზით. სხვამაზე დამსრე სამა წევრმა, კანდიდატს მხარი არ დაუჭირა, სამი კი დავთანხმდა. როცა ხმები თანაბრად ნაწილდება, კანდიდატი არჩეულად არ ითვლება, საჭიროა ხმათა უმრავლესობა. მე ვერაფერს ვუკავშირებ, ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ასე“ — განაცხადა ბიკაშვილმა.

თავად დირექტორობის კანდიდატი, ნინო სულიაშვილი მიმდინარე პროცესს, სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს უკავშირებს და ამბობს, რომ ის განაწყენდა.

ინო სულიაშვილი: „ერთ-ერთი წევრი ითხოვდა ჩემგან რაც არ არის დასაშვები და ამიტომ განაწყენდა. მან შეძლო გავლენა მოეხდინა ორ მშობელზე და ასე მოხდა. მე ამ წევრის ვინაობას ვერ დაგისახელებთ. ახლა შესაძლებელია მე შევასრულო მოვალეობა ახალ შერჩევამდე, ან მინისტრმა გამოიყენოს საკუთარი დისკრეცია. ჩვენი სკოლა პირველია მუნიციპალიტეტში, რომელიც ავტორიზაციას გადაის, ერთი გასაუბრება გვაქვს დარჩენილი, გაცხადებული ლიდერები ვართ, დანარჩენებს ჩვენ ვუზიარებთ გამოცდილებას. ვნახოთ, რა მოხდება“.

მიმდინარე წლის მარტში „შირაქისთვის“ მიცემულ კომენტარში ნინო სულიაშვილი აღნიშნავდა, რომ საპენსიო ასაკის გამო დირექტორობის მომდევნო ექვსწლიან ვადას ბოლომდე ვერ მიიყვანდა, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა მაინც სურდა. ახლა კი სულიაშვილი ამბობს, რომ ასაკობრივი ზღვარი არ მოქმედებს.

სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსში სხვა პედაგოგიც მონაწილეობდა. ამავე სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა მაია პოპიაშვილმა გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სერთიფიკატი მიიღო, თუმცა სამინისტრომ მაინც არ წარადგინა. ნინო სულიაშვილი, გამარჯვების საჯარო სკოლას 2014 წლიდან ხელმძღვანელობს. მისი დირექტორობის პერიოდს ემთხვევა სკოლის ავტორიზაცია, რომელიც უკვე დაწყებულია.

ნაღის რაიონის სოფელ ხორნაბუჯიდან ვარ. ასევე ვმუშაობდი ვაქცინაში, პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილის მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად. დაოჯახების შემდეგ 26 წელია სოფელ ოზანში ვცხოვრობ. ახლახან გავიარე დირექტორობის კანდიდატა სერთიფიცირების ეტაპები და მოვიპოვე უფლება ეს ვაკანტური პოზიცია დამეკავებინა. პატარა სოფელია და ყველა ყველას იცნობს, ასე რომ მეც ვიცნობ პედაგოგებს. ჩემი ორივე შვილი ამ სკოლაში გაიზარდა და ამ კუთხით მქონდა შეხება სკოლასა და მასწავლებლებთან. შიდა სამზარეულო არ ვიცი, მაგრამ გარედან ვიცნობ ამ სკოლას, ახლა ვეცდები შიდა საქმეებშიც გავერკვე. ზოგადად, სასკოლო პრობლემებს ვიცნობ, ვიცი სუსტი და ძლიერი მხარეები. წარდგენამ კარგად ჩაიარა, კოლექტივმა კარგად მიიღო, არ მიგრძნია, რომ უცხო გარემოში მოვხვდი და არც ველავდი. კომუნიკაბელური ვარ, არ მიჭირს ადამიანებთან კონტაქტი. პროტოკოლის მიხედვით არჩევამდე ჩემი ხედვა უნდა წარმედგინა სკოლისთვის. ეს შეხვედრაც გამართდა და გეგმა წარვადგინე. ჩემი პრიორიტეტი იქნება ის, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. პიროვნებაზე და ერთმანეთის პატივისცემაზე ორიენტირებული



სწავლება. მთავარი აქცენტი კი განათლებაზე, პედაგოგების კვალიფიკაციაზე და მოსწავლეებზე იქნება.“

ზემო მაჩხაანის სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა მშობელი ირინა ზელენსკაია. საბჭოს 11-ივე წევრმა მხარი მოქმედი დირექტორის **ეთერ ოთარაშვილის** მეორე ვადით არჩევას დაუჭირა.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა მშობელი ნატალია გაბახაძე. საბჭოს რვა წევრიდან ერთი მშობელი არ გამოცხადდა, 7-ივე წევრმა კი მხარი მეორე ვადით მოქმედი დირექტორის **ლალი იაკოვიძის** კანდიდატურას დაუჭირა.

სორნაბუჯის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს პედაგოგი ჟანა ბაბიანი ხელმძღვანელობს. მისი განმარტებით საბჭოში 7 წევრია, რომელთაგან ყველამ ხმა **თამარ ქეთელაურის** კანდიდატურას მისცა. ქეთელაური დირექტორის მოვალეობას 2022 წლის ივნისიდან ასრულებდა.

ოზანის სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის სოფიო ნარინდოშვილის განმარტებით, საბჭოს რვა წევრიდან ერთს უფლებამოსილება შეჩერებული აქვს, 7-მა კი მხარი დირექტორის ანა ლათიგაშვილის არჩევას დაუჭირა. ის ერთადერთი ახალი კანდიდატი ამ არჩევნებზე.

ანა ლათიგაშვილი (ოზანის სკოლის დირექტორი): „ზოგადად, დასაქმება მინდოდა და სამსახურს ვეძებდი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლა ჩემთვის უცხოა. მრავალი წლების განმავლობაში ვმუშაობდი სკოლაში, მათემატიკასა და ინფორმატიკას ვასწავლიდი. სიღ-



თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პროდუქტიული გარემოს შექმნა; სკოლის პერსონალისა და რესურსების მართვის გაუმჯობესება; უნიკალური სასკოლო კულტურის განვითარება. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ პოზიტიურად შემხვდა სკოლა, პედაგოგებიც და მოსწავლეებიც. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და მოტივაციაა ჩემთვის. მუხლჩაუხრელ შრომას ვაპირებ. ისეთი ანთუბული თვალებით დამხვდნენ, მათ იმედებს არ გავაცრუებ და ყველაფერს გავაკეთებ ეფექტური მუშაობისთვის. ნელ-ნელა ვეცნობ ამ სკოლის ცხოვრებას, ვგეგმავ კათედრებთან შეხვედრა გავმართო და მათი გეგმები მოვისმინო, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ. საკმაოდ კარგი ბირთვია შეკრული, უამრავი აქტივობა აქვთ და ასე გავაგრძელებთ“.

ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი ლუიზა ბაიაშვილი ხელმძღვანელობს. საბჭოში რვა წევრია, ერთი არ გამოცხადდა, კიდევ ერთი წევრი კი შევებულია იმყოფება. ამიტომ, მოქმედმა დირექტორმა **თამარ ნაბიარიძემ** არჩევნებში 6 ხმა მიიღო.

არხილოსკალოს სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ხათუნა ჩილინგარაშვილია. საბჭოს 7-მა წევრმა მოქმედ დირექტორს **მაია სიმონიძეს** მეორე ვადით არჩევას მხარი დაუჭირა.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორობის სერთიფიკატი მოიპოვეს, სამი სერთიფიცირებული კანდიდატი არჩევნებში არ მონაწილეობდა. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი **თაინა ლონდაძე**, სამრეკლოს სკოლის ისტორიის პედაგოგი **ეკატერინე ჯანაშიაშვილი** და გამარჯვების სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი **მაია პოპიაშვილი**. სამინისტრო მათ სერთიფიკატებს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გადაგზავნის. დოკუმენტს 7 წლიანი ვადა აქვს, თუ ამ ვადაში კანდიდატი სკოლის დირექტორის თანამდებობას არ დაიკავებს, შემდეგ ამ უფლებას კარგავს.

მაკა ჯანაშვილი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი): „საარჩევნო პროცესში ჩვენ არ ჩვეულებრივად, არც დაკვირვებას ვანარმოვებდით, სამეურვეო საბჭოებმა თავად უზრუნველყვეს პროცესი. ყველა სკოლაში მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. შვიდ სკოლაში აირჩიეს დირექტორი, ხოლო გამარჯვების სკოლაში კანდიდატის არჩევა ვერ მოხერხდა. ვერ გეტყვით თავად კანდიდატს რა პოზიცია აქვს და აპირებს თუ არა გასაჩივრებას. სამინისტროს შეუძლია დისკრეციული უფლებით ისარგებლოს და სულიაშვილი მაინც დანიშნოს დირექტორად. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. 19 ოქტომბერს ორი ახალი დირექტორი უკვე წარუდგინეთ ოზანისა და ზემო მაჩხაანის სკოლებს. კარგად მიიღეს, შეგნებულად მიუდგნენ საკითხს და ისინი მუშაობას უკვე შეუდგნენ. წარმატებებს ვუსურვებ ახლადარჩეულ დირექტორებს.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დანარჩენ სკოლებში არჩევნები არ გამართულა, ამ სკოლებს ისევ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები მართავენ. გაურკვეველია, დაინიშნება თუ არა ამ სკოლებში დირექტორის არჩევნები, ან როდის შეიძლება გამოცხადდეს დირექტორების არჩევნების შემდეგი ეტაპი. წელს გამართულ დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 2000-მდე მსურველი მონაწილეობდა, თუმცა, საბოლოოდ სერთიფიკატის მოპოვება 700-ზე მეტმა კონკურსანტმა შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში სერთიფიცირებულ დირექტორობის კანდიდატა მწვავე დეფიციტია, სამინისტროს ყველა მათგანი მაინც არ წარუდგენია.



სოფელია, აქ დავიბადე და გავიზარდე, ამ სკოლაში სწავლობდა ჩემი ოჯახიც და შვილებიც, ამიტომ დიდი სურვილი მქონდა, რომ მეც ამ სკოლის ნაწილი ვყოფილიყავი. ვინაიდან პედაგოგის რანგში ვერ მოხერხდა, ამის გამო მეზობელ სოფელში დავიწყე მუშაობა. ამჟამად იმაზე მეტი დატვირთვა მქონდა, ვიდრე დირექტორს უნდა ჰქონდეს. წესის თანახმად, დირექტორს უფლება აქვს 10 საათი ჩაატაროს, ამდენად მხოლოდ ათ საათს დავიჭოვებ და დანარჩენს დავთმობ. ისევე არბოშიკის სკოლის მოსწავლეებთან ვიქნები მასწავლებლის რანგში. თუმცა, იქ მიმდინარე რეაბილიტაციის გამო ამ სოფლის ბავშვები ზემო მაჩხაანის სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში სწავლობენ. ამდენად, მე აღარ მომიწევს არბოშიკში სიარული, ისინი დადიან და ასე უფრო გამომავლილება მუშაობა. ჩემი პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება; სწავლაზე ფოკუსირებული ინტერაქციის გაძლიერება; სკოლაში უსაფრთხო,

თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პროდუქტიული გარემოს შექმნა; სკოლის პერსონალისა და რესურსების მართვის გაუმჯობესება; უნიკალური სასკოლო კულტურის განვითარება. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ პოზიტიურად შემხვდა სკოლა, პედაგოგებიც და მოსწავლეებიც. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და მოტივაციაა ჩემთვის. მუხლჩაუხრელ შრომას ვაპირებ. ისეთი ანთუბული თვალებით დამხვდნენ, მათ იმედებს არ გავაცრუებ და ყველაფერს გავაკეთებ ეფექტური მუშაობისთვის. ნელ-ნელა ვეცნობ ამ სკოლის ცხოვრებას, ვგეგმავ კათედრებთან შეხვედრა გავმართო და მათი გეგმები მოვისმინო, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ. საკმაოდ კარგი ბირთვია შეკრული, უამრავი აქტივობა აქვთ და ასე გავაგრძელებთ“.


ზემო ქედის №2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი ლუიზა ბაიაშვილი ხელმძღვანელობს. საბჭოში რვა წევრია, ერთი არ გამოცხადდა, კიდევ ერთი წევრი კი შევებულია იმყოფება. ამიტომ, მოქმედმა დირექტორმა **თამარ ნაბიარიძემ** არჩევნებში 6 ხმა მიიღო.

არხილოსკალოს სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ხათუნა ჩილინგარაშვილია. საბჭოს 7-მა წევრმა მოქმედ დირექტორს **მაია სიმონიძეს** მეორე ვადით არჩევას მხარი დაუჭირა.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორობის სერთიფიკატი მოიპოვეს, სამი სერთიფიცირებული კანდიდატი არჩევნებში არ მონაწილეობდა. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი **თაინა ლონდაძე**, სამრეკლოს სკოლის ისტორიის პედაგოგი **ეკატერინე ჯანაშიაშვილი** და გამარჯვების სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი **მაია პოპიაშვილი**. სამინისტრო მათ სერთიფიკატებს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გადაგზავნის. დოკუმენტს 7 წლიანი ვადა აქვს, თუ ამ ვადაში კანდიდატი სკოლის დირექტორის თანამდებობას არ დაიკავებს, შემდეგ ამ უფლებას კარგავს.

მაკა ჯანაშვილი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი): „საარჩევნო პროცესში ჩვენ არ ჩვეულებრივად, არც დაკვირვებას ვანარმოვებდით, სამეურვეო საბჭოებმა თავად უზრუნველყვეს პროცესი. ყველა სკოლაში მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. შვიდ სკოლაში აირჩიეს დირექტორი, ხოლო გამარჯვების სკოლაში კანდიდატის არჩევა ვერ მოხერხდა. ვერ გეტყვით თავად კანდიდატს რა პოზიცია აქვს და აპირებს თუ არა გასაჩივრებას. სამინისტროს შეუძლია დისკრეციული უფლებით ისარგებლოს და სულიაშვილი მაინც დანიშნოს დირექტორად. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. 19 ოქტომბერს ორი ახალი დირექტორი უკვე წარუდგინეთ ოზანისა და ზემო მაჩხაანის სკოლებს. კარგად მიიღეს, შეგნებულად მიუდგნენ საკითხს და ისინი მუშაობას უკვე შეუდგნენ. წარმატებებს ვუსურვებ ახლადარჩეულ დირექტორებს.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დანარჩენ სკოლებში არჩევნები არ გამართულა, ამ სკოლებს ისევ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები მართავენ. გაურკვეველია, დაინიშნება თუ არა ამ სკოლებში დირექტორის არჩევნები, ან როდის შეიძლება გამოცხადდეს დირექტორების არჩევნების შემდეგი ეტაპი. წელს გამართულ დირექტორთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით 2000-მდე მსურველი მონაწილეობდა, თუმცა, საბოლოოდ სერთიფიკატის მოპოვება 700-ზე მეტმა კონკურსანტმა შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში სერთიფიცირებულ დირექტორობის კანდიდატა მწვავე დეფიციტია, სამინისტროს ყველა მათგანი მაინც არ წარუდგენია.



სოფელია, აქ დავიბადე და გავიზარდე, ამ სკოლაში სწავლობდა ჩემი ოჯახიც და შვილებიც, ამიტომ დიდი სურვილი მქონდა, რომ მეც ამ სკოლის ნაწილი ვყოფილიყავი. ვინაიდან პედაგოგის რანგში ვერ მოხერხდა, ამის გამო მეზობელ სოფელში დავიწყე მუშაობა. ამჟამად იმაზე მეტი დატვირთვა მქონდა, ვიდრე დირექტორს უნდა ჰქონდეს. წესის თანახმად, დირექტორს უფლება აქვს 10 საათი ჩაატაროს, ამდენად მხოლოდ ათ საათს დავიჭოვებ და დანარჩენს დავთმობ. ისევე არბოშიკის სკოლის მოსწავლეებთან ვიქნები მასწავლებლის რანგში. თუმცა, იქ მიმდინარე რეაბილიტაციის გამო ამ სოფლის ბავშვები ზემო მაჩხაანის სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში სწავლობენ. ამდენად, მე აღარ მომიწევს არბოშიკში სიარული, ისინი დადიან და ასე უფრო გამომავლილება მუშაობა. ჩემი პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება; სწავლაზე ფოკუსირებული ინტერაქციის გაძლიერება; სკოლაში უსაფრთხო,

თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პროდუქტიული გარემოს შექმნა; სკოლის პერსონალისა და რესურსების მართვის გაუმჯობესება; უნიკალური სასკოლო კულტურის განვითარება. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ პოზიტიურად შემხვდა სკოლა, პედაგოგებიც და მოსწავლეებიც. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და მოტივაციაა ჩემთვის. მუხლჩაუხრელ შრომას ვაპირებ. ისეთი ანთუბული თვალებით დამხვდნენ, მათ იმედებს არ გავაცრუებ და ყველაფერს გავაკეთებ ეფექტური მუშაობისთვის. ნელ-ნელა ვეცნობ ამ სკოლის ცხოვრებას, ვგეგმავ კათედრებთან შეხვედრა გავმართო და მათი გეგმები მოვისმინო, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ. საკმაოდ კარგი ბირთვია შეკრული, უამრავი აქტივობა აქვთ და ასე გავაგრძელებთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

ბავშვთა შრომა და მასთან დაკავშირებული რისკები

ლამით მუშაობა, სიმძიმეების ტარება, მავნე პირობები, საშიში მანქანა-დანადგარების გამოყენება, არაჯანსაღი გარემო-მსოფლიოს მასშტაბით ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების უმეტესობა ისეთ გარემოში მუშაობს, რომელიც მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის საზიანოა. მაღალია სკოლის მიტოვების რისკიც.

ბავშვთა შრომა და მოუზავი ბავშვები

ბავშვებს აქვთ შრომის უფლება, რაც დაშვებულია ადგილობრივი თუ საერთაშორისო კანონმდებლობით. ეს მომუშავე ბავშვთა კატეგორიაა. „ბავშვთა შრომა“ კი ნიშნავს ბავშვების ჩართულობას აკრძალულ შრომაში, ისეთი ტიპის საქმიანობაში, რომელიც მათ ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებას აზიანებს.

სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი 16 წელია. 16 წლის ქვემოთ კი ბავშვების შრომა დასაშვებია მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის ან მზრუნველობის ორგანოს) თანხმობით; ასევე, იმ შემთხვევაში, როცა შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს სავალდებულო საბაზო განათლების მიღების შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის ბავშვთან კი, შრომითი ხელშეკრულების დადება, ძირითადად, აკრძალულია, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც სპორტს ან ხელოვნებას უკავშირდება.

კანონი განსაზღვრავს, ასევე სამუშაო დროის ხანგრძლივობას. 16-17 წლის ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14-15 წლის ასაკის არასრულწლოვნის — 24 საათს. ასევე, აკრძალულია ბავშვის მუშაობა ღამის სამუშაოზე — 22 საათიდან დილის 6 საათამდე.

რას გულისხმობს ბავშვთა სახიფათო შრომა

ბავშვთა სახიფათო შრომის განმარტებას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, არ არსებობს

ბავშვთა სახიფათო შრომისთვის დადგენილი დარღვევისა და პროფესიების ჩამონათვალი. ბავშვთა სახიფათო შრომის განსაზღვრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტს ეფუძნება.

ბავშვებისათვის „სახიფათო სამუშაო“ ის სამუშაოა, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით შესაძლებელია ზიანი მოუტანოს ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან უარყოფითად იმოქმედოს მის სწავლა-განათლებაზე. სახიფათო სამუშაოდ ითვლება: ხანგრძლივი სამუშაო საათები, ღამე მუშაობა, სიმძიმეების ტარება, მანქანა-დანადგარების გამოყენება, მავნე გარემო (მტვერი, კვამლი, მაღალი ტემპერატურა), საშიში პირობები (მინის ქვეშ, სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში, წყალში).

ფაქტობრივად საპარტიკული

ამერიკის შრომის საერთაშორისო საქმეთა ბიუროს მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 2022 წელს საქართველომ ზომიერ წინსვლას მიაღწია ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების აღმოფხვრის საქმეში. შეიქმნა შრომის ექსპერტ-ინსპექტორთა ჯგუფი იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის შემთხვევების გამოსავლებად. გაიხსნა ფილიალები ბათუმსა და ქუთაისში, დასავლეთ საქართველოში ოპერატიულობის გაზრდის მიზნით. პროკურატურამ მიიღო ახალი სტრატეგია 2022—2027 წლებისთვის, რათა გაზარდოს ძალისხმევა ბავშვთა ტრეფიკინგისა და შრომითი ექსპლუატაციის იდენტიფიცირების პროცესში, რაც მიზნად მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას ისახავს. გარდა ამისა, მთავრობამ დაამტკიცა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, რომელიც ორიენტირებულია გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ბავშვების უფლებების დაცვაზე.

თუმცა, საქართველოში ბავშვები ექვემდებარებიან ბავშვთა შრომის უმძიმეს ფორმებს, მათ შორის იძულებით მოწყვლადების თხოვნას. ბავშვები ასევე ეწევიან სასოფლო-სამეურნეო შრომას.



საქართველოში მუშაობის მინიმალური ასაკი არ ემთხვევა საერთაშორისო სტანდარტებს, რადგან ის არ ეხება არაფორმალურ სექტორში მომუშავე ბავშვებს. 2022 წლის მონაცემებით, რომელიც ამერიკის შრომის საერთაშორისო საქმეთა ბიურომ გამოაქვეყნა, საქართველოში 1000-დან 2000-მდე ბავშვის საარსებო წყარო მონყალეების თხოვნაა, რაც ძირითადად გამოწვეულია სიღარიბით, უსახლკარობით ან ოჯახში ძალადობით. აქედან უმეტესობა ბოშათა თემებიდანაა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც ოკუპირებულია რუსული ძალების მიერ და არ ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს, ინფორმაციის ნაკლებობა ზღუდავს ბავშვების სამუშაოს ტიპების შეფასებას და იმ სექტორებს, რომლებშიც ისინი მუშაობენ.

უწყვეტი განათლება ბავშვთა იძულებითი შრომის გამოვლენისა და რეაგირებისთვის საჭირო უნარების შექმნა/განვითარებისთვის.

2022 წელს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში ჩატარებული 845 შემოწმებიდან 830 იყო დაგეგმილი, 15 კი გამოუცხადებელი. საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექტორებმა გამოავლინეს ბავშვთა შრომის 15 შემთხვევა (11 დაფიქსირდა გეგმიური და 4 გამოუცხადებელი ინსპექტირების დროს), საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საცხოვრებელი და საკვების მინდობების სერვისებში თბილისში, აჭარაში, შიდა ქართლში, მცხეთაში. ყველა კომპანია დაჯარიმდა 32 592 აშშ დოლარის (85 300 ლარი) ოდენობით.

ბავშვთა შრომა - მიზანმიმართული რისკები

რა უბიძგებს ბავშვებს მუშაობისკენ? - გამოკითხვის მიხედვით, 10-17 წლის დასაქმებული ბავშვების უმეტესობა ერთ-ერთ მიზეზად ოჯახური საანარმოს/მეურნეობის დახმარებას ასახელებს. შემდეგი ყველაზე ხშირი მიზეზი ოჯახის შემოსავლის გაზრდა და მუშაობის სურვილია. მომუშავე ბავშვთა ყველაზე მცირე ნაწილის მიზანი სამუშაო უნარების განვითარებაა. სხვა მიზეზების შესახებ კვლევაში არაფერია ნათქვამი.

ბავშვთა შრომის მიზეზებზე საუბრისას არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ერთხმად ასახელებენ ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ქვეყანაში არსებულ ზოგად სოციალურ ფონს.

ხშირად რისკები, რომლებიც თანახმად ბავშვთა შრომას, განსაკუთრებით, ბავშვთა სახიფათო შრომას, დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ბავშვების ინტელექტუალურ თუ სოციალურ განვითარებასთან. ერთ-ერთი მთავარი რისკი სკოლის მიღმა დარჩენაა. განათლების უფლების შეზღუდვა კი მოგაპაპლებს მათ ხალხში უფრო მეტი უსამართლობის რეალუზაციაში.



CENN-მა „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2024“ გამოაცხადა

„იმოქმედე კლიმატისთვის“ - ეს არის „ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის“ სახელწოდება, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება. ამის შესახებ ინფორმაციას CENN-ი ავრცელებს.

კონკურსში მონაწილე სკოლები ძირითად აქცენტს მდგრადი განვითარების მე-13 მიზანზე გააკეთებენ: „კლიმატის მდგრადობის მიღწევა - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება“.

წლებიდან დასრულებული საკონკურსო წელი მონაწილეებს კიდევ ერთ სიახლეს, „მდგრადი განვითარების კალენდარს“, შესთავაზებს: თითოეული საკონკურსო თვისთვის შერჩეული პრიორიტეტული მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობა დამატებითი ქულებით შეფასდება და შესაბამისი საექსპერტო მხარდაჭერით იქნება უზრუნველყოფილი. საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სკოლები, ტრადიციულად, ჯერ რეგიონულ, შემდეგ კი ეროვნულ ტურებში შეეჯიბრებიან და 3 სინჯის პრემიას გაინაწილებენ.

კონკურსი ხორციელდება CENN-ის მიერ, პროექტ „მწვანე კავკასიის“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. თანაორგანიზატორები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

„ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ 2014 წელს დაფუძნდა. მასში მონაწილე სკოლები არეგისტრირებენ ეკო-კლუბებს და მთელი წლის განმავლობაში ახორციელებენ გარემოსდაცვით და სოციალურ ინიციატივებს.

სხვადასხვა წელს გამარჯვებულ სკოლებს გადაეცემათ გრანტები, უფინანსდებიან ინფრასტრუქტურული პროექტები, ან სავანმანათლებლო ტურები ევროპის ქვეყნებში.

გვერდი მოაზნადა
ქუშუნა ყანაპვილა



„მასწავლებელი ბავშვების სიყვარულში თუ არ იწვება, ისე გზას ვერ გაუნათებს მათ!“

ოქტომბერი მასწავლებლების თვეა. 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, ხოლო ნელს პირველად 27 ოქტომბერი საქართველოში მასწავლებლის ეროვნულ დღედ დანესდა. 22 ნელია სკოლა დავამთავრე, ამდენივე ნელია ჟურნალისტიკაში ვარ, პედაგოგებთან პროფესიული ურთიერთობა ხშირად მიწევს, მაგრამ, რატომღაც, ჩემს მასწავლებელთან ინტერვიუს პირველად ვწერ. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლისწყაროს №2 სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი ლალი ინაშვილი ჩემი კლასის დამრიგებელი იყო, მასზე ბევრი რამ მეც ამ ინტერვიოდან გავიგე. მრავალი ნელია „შირაქის“ ფურცლებზე ჩემს სტატიებს კითხულობთ, ბავშვობისას წერის უნარი რომ განმივითარდა, ეს სწორედ ლალი ინაშვილის დამსახურებაა. მინდა იცოდეთ, რომ თუ ოდესმე ჩემი მასალები მოგწონებიათ, ამაში ლალი მასწავლებლის წვლილი დევს. ის 40 წელზე მეტია მასწავლებლად მუშაობს, იუბილარია მეორე საჯარო სკოლაზე. ამიტომ, ბევრი მიზეზი მქონდა საიმისოდ, რომ მშობლიურ სკოლას ვწვეოდი და ეს ინტერვიუ ჩამენერა. ახლა ისეთი კითხვების დასმის შესაძლებლობა მომეცა, რომელსაც სკოლის პერიოდში ვერ დავსვამდი.



თანამონაწილე ვხდები, რაც ნიგნშია აღწერილი. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო თამარა ყოჩიაშვილი, რომელმაც 4 წლის მანძილზე სიტბო და სიყვარული არ მომაკლო, გამაცნო სამყარო და ჩამინერგა სიყვარული. გამორჩეულად მიყვარდა ზინა თარაშვილი, რომელიც ყოველს ცოდნით იყო მდიდარი. მას არ იზიდავდა სხვა სიმდიდრე არავითარი. მიტაცებდა მისი სამართლიანობა, მარცვალ-მარცვალ აწვდიდა ჩვენს გონებას ცოდნას და გვაგზავნიდა ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად. 40 წელზე მეტია მეორე საჯარო სკოლაში ვასწავლი ენასა და ლიტერატურას, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. ამ ხნის მანძილზე ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვრთავდი სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, საიდანაც გამარჯვებულნი ჯილდოებით ბრუნდებოდნენ. დღეს, ტექნიკური საშუალებებით, ჩვენთვის საინტერესო უამრავი ინფორმაციის მოძიება და გაცნობა გახდა შესაძლებელი. სამაგიეროდ, მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამორდა ნიგნს. ესაა თაობებს შორის, მათ ინტერესებს შორის განსხვავება. ამაზე გული ძალიან მტკივა. ჩემი ყველაზე დიდი მიზანია, მოსწავლე ახლოს მივიყვანო ნიგნთან. შევაცვარო კითხვა, მშობლიური ლიტერატურა და მათში გავაღვივო პატრიოტული გრძობები. თითქმის ყოველწლიურად, სხვადასხვა კლასში ვმუშაობთ პროექტებზე: „ჩემი საყვარელი ნიგნი“, „ნააკითხე სხვასაც“.

ლალი ინაშვილი: „მასწავლებლობა საპატიო მისიაა და საამაყო საქმეც. ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსი ისტორიული ქართველების საკუთარ მხრებზე გადატანისა. ამისთვის კი ისევე ცოდნა, მუდმივი შრომა და ძიებაა საჭირო. ჩვენ, მე და პროფესიამ, ერთმანეთი ავირჩიეთ! ეს შიგნიდან მოდიოდა, გულიდან! მიმაჩნია, რომ შინაგანად უნდა იყო მასწავლებელი, სხვაგვარად გაგიჭირდება... მჯერა, რომ ბავშვების სიყვარულში თუ არ ინევი, გზას ვერ გაუნათებს მათ. ძალიან უნდა გიყვარდეს მოსწავლე. უნდა იყო ერთდროულად მომთმენი, დამთმობი, საჭიროებისამებრ მკაცრიც. ჯერ კიდევ I-II კლასში ყოფნისას სახლში თოჯინებს ჩავამწკრივებდი ხოლმე, სიას შევადგენდი და ერთდროულად ვიყავი მოსწავლეს და მასწავლებელმაც. მე ვკითხულობდი, ვყვებოდი და შემდეგ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნიშნებს კი თოჯინებს ვუწერდი... ამით იმის თქმა მინდა, რომ ადრეული ასაკიდანვე ვცდილობდი პედაგოგებისთვის მიმებადა, მათი როლი მომეგონა და თავი მასწავლებლად წარმოვიდგინა...“

რატომ ქართული ენა-ლიტერატურა და ვინ შეგაცვარათ ეს საგანი?
— ალბათ, იმიტომ, რომ მშობლიურია. მიყვარს პოეზია, კითხვა. დიდ სიამოვნებას ვიღებ, როცა ნიგნს ვკითხულობ, გადავდივარ მოქმედი პიერების საუფლოში. იმ მოვლენების

— ნელს მეორე საჯარო სკოლას საიუბილეო ნელია აქვს, ეს შენობა 1973 წელს გაიხსნა. როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს ამ სკოლას ჩვენი რაიონის ისტორიაში?

— სექტემბერში მეორე საჯარო სკოლას დაარსებიდან 50 წლის იუბილე შეუსრულდა. იმედი მაქვს, მოვახერხებთ სკოლის იუბილე ვიზეიმოთ. ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მისი სახელი არასოდეს შელახულა. სკოლის პირველი დირექტორის, გიგო ლომაშვილის თაოსნობით სკოლა ღირსეულად ემსახურებოდა თაობების სწავლა-აღზრდის საქმეს. მრავალი წლის მანძილზე სკოლას სათავეში ედგა ლია გომელაური. მისი დირექტორობის პერიოდში ამ სკოლამ ბევრი ღირსეული მასწავლებელი და მოსწავლე აღზარდა. ბევრი თაობა დავაფრთიანეთ. გაცვლითი პროგრამით ბევრი საზღვარგარეთ სწავლობს, ან მუშაობს. გასულ კვირას, მეორე ვადით აირჩიეს ჩვენი სკოლის დირექტორი ლალი იაკობიშვილი. მისი მოღვაწეობის წლები საკმაოდ ნაყოფიერი იყო და მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება. უამრავი მიღწევა და წარმატება გველოდება, მათ შორის გამოყოფილი მენარმეთა ლაბორატორიის შექმნას, ასევე ეკოკლუბს „შექმენი მომავალი“. მოქმედებს სამოქალაქო განათლების, ინტელექტუალთა კლუბი და სხვა მრავალი. ეს ნაყოფიერი შედეგი დირექტორის და პედაგოგიური კოლექტივის დემოკრატიული ხედვისა და ღირებულებების გამო მივალნიეთ. განსაკუთრებით გამოვარჩევ ასევე, ისტორიის მასწავლებელს, ნონა ტოკლი-კიშვილს. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულნი ყოველთვის გამორჩეულნი არიან მაღალი პროფესიონალიზმით და სამშობლოს უანგარო სიყვარულით.

როულ წლებში მოგინათ მუშაობა, გაყინული ხელფასებისა და საკლასო ოთახების პრობლემა რამდენიმე წელს გაგრძელდა... რა მოტივაცია გამოძრავებდათ მასწავლებლებს, რომ ენთუზიაზმი არ დაკარგულა?

— 90-იან წლებში მართლაც რთული პერიოდი იყო. არ არსებობდა ელექტროენერგია, წყალი, გაზი, ხელფასი, მაგრამ მიინტერესებდა გაყინულ კლასებში. არა რაიმე ინტერესის გამო, არამედ, მოვალეობის, მოწოდების, ჩვენი საყვარელი საქმისა და მოსწავლეების სიყვარულის გამო. ვიდექით იქ, სადაც საჭირო იყო და სხვაგვარად არც შეგვეძლო. ჩვენ თაობების წინაშე ჩვენი მისია უნდა შეგვესრულებინა და ტვირთი გვეზიდა. საერთოდ, მი-

მაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს შრომა სათანადოდ უნდა უფასდებოდეს, მათ შორის მასწავლებელსაც. ახლახან ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შვეიცარიაში მასწავლებლის ერთი თვის ანაზღაურება ქართველი მასწავლებლის წლიურ ხელფასზე მეტია. ეს, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ, როცა ყოფილი მოსწავლეები გვიხსენებენ და გვიკითხულობენ, როცა სათუთად ვინახავთ იმ ბარათებს, რომლებიც საკუთარი მოსწავლეების ხელითაა დანერილი და სიტბო და სიყვარულია გადმოცემული მასწავლებლის მიმართ, დამერწმუნეთ, ჩვენთვის ესაა ყველაზე მაღალი ხელფასი და შრომის სათანადო ანაზღაურება.

რა სირთულეებს ნააწყობით კარიერის დასაწყისში და ვისი მხარდაჭერა იყო მნიშვნელოვანი?

— ახალგაზრდობისას, ჩემი კარიერის დასაწყისში, შემხვდა პატარა სირთულეები, როგორც საგნის სწავლებაში, ისე მოსწავლეებთან ურთიერთობისას. მაგრამ, თუ დამთმობი ხარ, მომთმენი და ამავდროულად პრინციპულიც, ყველა სირთულეს თავს გაართმევ. დიდი დახმარება გამიწია ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა, თინა გონაშვილმა, რისთვისაც ჩემგან დიდი მადლობა მას.

რომ არა პედაგოგობა, რა პროფესიას აირჩევდით?

— ხშირად მიფიქრია, ნუთუ სხვა არაფერი შემიძლია? იქნებ შემიძლია კიდევ, მაგრამ სხვა სფეროში საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია... თუმცა, მომწონს შემდეგი პროფესიები: დიზაინერის, თარჯიმნის და ისეთი ექიმის, რომელიც ნამდვილად და ერთგულად ასრულებს ჰიპოკრატეს ფიცს.

რომელია თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟი და რატომ?

— არ მიყვარს ნაკითხული ნიგნის ხელმეორედ ნაკითხვა, მაგრამ მრავალჯერ შემიძლია ნაკითხობო ნაირა გელაშვილის „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ და მალხაზ ბუზარაშვილის „ყინულის ეტლი“. რაც შეეხება საყვარელ პერსონაჟებს: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ მეფე გიორგი პირველია. მიუხედავად მრავალი ადამიანური ცოდვისა, ის თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს ერთიანობისთვის და ჭირის დღესავით სძულდა შიდა ომები. თვითონვე ამბობს: „მე მრავალი ცოლად მიმიძვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია... მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია“.

ესაუბრა
ილია მარტყოფილი

შეხედეთ საკუთარ სახეს...

ადამიანის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ახალი სახის ქცევითი აქტივობა ხელს უწყობს მის ორგანიზმში ხნობისა და თავდაჯერებულობის ხელშეწყობის პროცესების წარმოქმნას.

თუ ადამიანის ქცევითი აქტივობა მხოლოდ სტერეოტიპული ქცევის ფორმებით შემოიფარგლება, მაშინ ორგანიზმი თითქოსდა შეეგუება თავისი არსებობის პასიურ სტადიას და ამდენად, ხსენებული სტერეოტიპული ქცევის ფორმები გახდება საკმარისი პირობა ჰორმონთა წარმოქმნის სტიმულატორად.

დაუკვირდით საკუთარ სახეს, რომელზეც თვალსაჩინოდ აისახება თქვენი ორგანიზმის საერთო ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობა. ეცადეთ მოაცილოთ თქვენ სახეს შფოთიანი და სევდის გამოქვეყნება. განა შეიძლება კარგი განწყობილების განცდა მოლუშული გა-

მოსხედვისა და ჭირვეულად მოკუმული ტუჩების ფონზე? გახსოვდეთ: თუ თქვენ უმეტესად გახასიათებთ სახის ნათელი გამოქვეყნება, ესე იგი ორგანიზმისა და ფსიქიკის რეგულირების სისტემები სრულყოფილად ფუნქციონირებს.

მნიშვნელოვანია სხეულის თვისებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა: წელში მოხრილი და მხრებში თავჩარგული ადამიანის შინაგანი განცდაც უპირატესად შფოთიანობითა და საკუთარი თავისადმი ნაკლები რწმენით ხასიათდება. შეეცადეთ, რომ თქვენი სხეულის მდგომარეობა ამაყი და ლაღი იყოს, ეს კი აუცილებლად გამოიწვევს სიმხნევის შინაგან განცდას.

სასარგებლო იქნება, თუ საკუთარ ხმა-საც დაუკვირდებით, რადგან ის თვითკონტროლისა და თვითრეგულაციის ეფექტური საშუალებაა. უმჯობესია მეტყველებისას ჩვენი ხმა თანაბრად უღერდეს. დაუკვირ-


დით, ასევე საკუთარი ხმის ინტონაცია და მიანიჭეთ მას ლაღი და რბილი ხასიათი.

კიდევ ერთი რჩევა: ყოველდღიურად, უფრო ზუსტად კი ყოველდღიურად, იპოვეთ თქვენთვის სასურველი მუსიკალური თემა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გაიჟღერებს ცნობიერებაში, ხელს შეუწყობს განწყობილების ორგანიზებას და თქვენი ქცევის რიტმს განსაზღვრავს.

ერთი სიტყვით, თქვენ უკვე იგრძენით, რომ მზად ხართ სახლიდან გახვიდეთ. ახლა კი ეცადეთ, სხვა ადამიანების თვალთ შეხედოთ თქვენს თავს. ნუ დაივიწყებთ, რომ სახეზე დადებითი განწყობილება

გესახებათ, ამიტომ ნუ ეცდებით შუბლი შეიჭმუნოთ და ტუჩის კუთხეები ძირს დაუშვათ, რადგან ეს სხვა ადამიანებზეც დამორგუნველად იმოქმედებს.

ბენიკ ბიბოლაშვილი,
ფსიქოლოგი



ერეკლე მეორის ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან

საკმაოა კაცმა საქართველოს ისტორიულ რუკას დახედოს, რათა დარწმუნდეს, რომ კახეთის წარსულში განსაკუთრებული ადგილი უნდა სჭეროდეს ჩვენი სამშობლოში. საქართველოს ისტორიის მანძილზე არცერთ ქართველ ტომს არ გამოუჩენია მეტი სამხედრო სიქველე, ფიზიკური გამძლეობა, სიმამაცე, ქედმოუხრელობა, ვიდრე კახეთის სამეფოს მოსახლეობას, ქიზიყელებს. ყველაზე მძიმე ჭრილობებს საქართველოს მეტრებს ჩვეულბრძოვ ისინი აჭდობდნენ და ყველაზე მეტადაც ისინი ზიანდებოდნენ.

კახეთის მიდამოების ბუნება თითქმის იმისთვისაა შექმნილი, რომ ადამიანი განეხიროს. ესაა ერთი დაუსრულებელი წალკოტი, სადაც ვენახს ხეხილის ბალი სცვლის, ხეხილს გარეული ნადირითა და ფრინველით სავსე ტყე და სადაც ბრონეული, ლელვი და დაფნა თავისუფლად იზრდება. ადვილი გასაგებია, რომ არაბ, ირანელი, თურქ დამპყრობლებს ეს ქვეყანა მაკამადის მიერ აღთქმულ სამოთხედ ეჩვენებოდათ.

ბიზანტიის იმპერიის დამხობამ და კონსტანტინოპოლის აღებამ (1453 წ) თურქების მიერ, კატასტროფული გავლენა იქონია ქრისტიანულ აღმოსავლეთზე, კერძოდ, საქართველოზე. ჩვენი ქვეყანა დიდი ხნით მოსწყდა კულტურულ დასავლეთს. დიდი სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთ ევროპას, ბიზანტიას საქართველოს ტერიტორიაზე გავლით დასავლეთ აზიის ქვეყნებსა და ინდოეთთან აკავშირებდა, გადაიჩინა.

ამის შემდეგ, საქართველო, რომელიც მონღოლების, თურქების შემოსევამდე მსოფლიო წონის სახელმწიფოდ ითვლებოდა და გავლენას ახდენდა მთელი წინა აზიის პოლიტიკაზე, გაღარიბდა, პოლიტიკურად დაიქსაქსა და კულტურული კაცობრიობის პერიფერიად იქცა.

რეალად იქცა. მე-XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველო მეტად განწირულ მდგომარეობაში იყო. „საბრალო უხელფეხო და გათავებული ხალხი“. მეტრის — ახალციხის ფაშის მიერ ნათქვამი სიტყვები სწორედ ზედგამოჭრილი იყო მაშინდელ კახეთზე, რომელიც სპარსეთის მუდმივ რბევა დაუდასხმებისაგან დაუძლეურებული, ახლა დაღესტნის მტაცებელი ბრბოების სათარემო ასპარეზი ხდებოდა. ხან წერილ-წერილი რაზმებით, ხან პატარა გუნდებით, ხან ძლიერი ჯარებით დაღესტნის ბელადები თავს ესხმოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ახალციხის ფაშას — ამ მტაცებლის სიტყვები ზედმიწევნით გამოხატავდა ქართველი ხალხის მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას.

ერეკლე მეფე სანამ რადიკალურ ნაბიჯს გადადგამდა და რუსეთთან ტრაქტატს დადებდა (1783 წ), რასაკვირველია, კარგად გრძობდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მოქცევა მის სამეფოს საფრთხეს უქადადა. მან ერთხელ კიდევ სცადა თავი დაეღწია ორი მხრიდან მოახლოებული რკინის საღრისათვის (რუსეთი, ირანი).

1781 წელს ერეკლემ ავსტრიის იმპერატორ იოსებ მეორეს კათოლიკების პადრე დომინიკე გაუგზავნა ელჩად და ფინანსური დახმარება სთხოვა. ერეკლეს ელჩმა დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია და შავ ზღვაში დაიხრჩო. მომდევნო წელს იმავე ავსტრიის იმპერატორს, საფრანგეთის მეფესა და ვენეციის სენატთან ანალოგიური თხოვნით თბილისიდან პატრი მავროსი გაემგზავრა. ვენეციის სენატისადმი მიმართული წერილიდან ჩანს, რომ ერეკლეს წინააღმდეგ დიპლომატიური ურთიერთობა ევროპის დიდ სახელმწიფოებთან. ერეკლე მეფე უმთავრესად ფულად დახმარებას ითხოვდა ქართული ჯარის ევროპულ წესზე გასაწვრთნელად. სამაგიეროდ პირობას დებდა,

რომ ქრისტიანობის მეტრების წინააღმდეგ იბრძოდნენ წინა აზიაში. ეს ნაბიჯი, რასაც არავითარი წინსვლა არ მოჰყოლია, მისიონერ და ზეპირ დანაბარებს ეყრდნობოდა და მათი დანიშნულებისამებრ გადაცემით ამოიწურა.

წერილობითი ნაწილი, რაც ჩვენამდეა მოღწეული, გარკვევით მიგვითითებს, თუ როგორ ცდილობდა მეფე ერეკლე დასავლეთის ქვეყნებისგან დახმარების მიღებას და თავისი ქვეყნის დასავლეთ ევროპისთვის დაახლოებას. მეფე ერეკლე და მის გარშემო თავმოყრილი მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს დასავლეთ ევროპის მიღწევებს მეცნიერების, ლიტერატურის, ტექნიკის ან სამხედრო დარგში. ახალგაზრდა ბატონიშვილების გასაწვრთნელად მოიწვიეს განათლებული ევროპელები: გეტინგი, რეინგესი და სხვები.

მე-XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს თბილისში ფართოდ განათლებული (1779-83 წწ) უნგრეთიდან ჩამოსული (წარმოშობით საქსონელი) მედიცინის დოქტორი იაკობ რეინგესი ჩამოვიდა, ის გამოდიოდა როგორც ექიმი და თეატრის მოღვაწე. ხელოსნებს ლითონის ჩამოსხმას ასწავლიდა, გააუმჯობესა თოფის წამლის მომზადების საქმე თბილისის თოფხანაში. სასტამბო დაზგები გამოაწერინა ვენიდან. ბოლოს მეფეს წინადადება მისცა, ქართლ-კახეთის პოლიტიკური წეს-წყობილება შეეცვალა პრუსიის და ავსტრიის ნიმუშების ნაბაძულობით. იაკობ რეინგესმა გულმხურვალე სიტყვები მიუძღვნა ქართველთა მეფეს: „მეფე ერეკლე ყველაზე საუკეთესო ადამიანია, მათ შორის, ვისაც მე შევხვედრებარ ცხოვრებაში. იგი ბუნებას დაუჯილდოვებია ყოველი სიკეთით. იმდენად მაფასებდა, ისე დიდი სიყვარული და მეგობრობა იყო ჩვენს შორის, რომ მიუხედავად მისი ასეთი



უმალესი მდგომარეობისა, ნებას მძღვედა „მამა“ მენოდებინა მისთვის“. 1798 წელს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე, რომელმაც ყოველივე იღონა, რათა ქართველი ერი სამშვიდობოზე გაეყვანა და მისთვის მომავალი კულტურული განვითარების გზები უზრუნველყო. მისი სიკვდილიდან 4 წელსაც არ გაუვლია, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის ძალით აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობა მოისპო და ის რუსეთის უბრალო ადმინისტრაციული ნაწილი გახდა. ქართველი ერი დაადგა განვითარების გზას, რომელიც ნაკლებად შეესაბამებოდა ერეკლე მეორის მიზნებსა და წარმოდგენებს.

ლალი ბასილაშვილი,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველი

11 778 სტიქიური უბედურება, 2 მლნ-ზე მეტი დაღუპული და 4,3 ტრლნ დოლარის ეკონომიკური ზარალი - WMO-ს ბოლო ანგარიში

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ახალი მარეგნების თანახმად, ექსტრემალურმა ამინდმა, კლიმატმა და წყალთან დაკავშირებულმა მოვლენებმა 1970-დან 2021 წლამდე 11 778 სტიქიური უბედურება გამოიწვია, რომლის დროსაც 2 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო გლობალური ეკონომიკას 4,3 ტრლნ დოლარის ზარალი მიაღდა. მონაცემები WMO-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება.

მხოლოდ 2020 და 2021 წლებში სტიქიური უბედურებით გამოწვეული სიკვდილიანობის სულ 22 608 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც, WMO-ს დასკვნით, წინა ათწლეულის საშუალო წლიურ მაჩვენებელთან შედარებით, სიკვდილიანობის შემდგომ შემცირებაზე მიუთითებს. თუმცა გაიზარდა ეკონომიკური ზარალი, რომლის უმეტესობაც ქარიშხლის კატეგორიას მიეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული ანგარიშით, რომელიც 1970-2019 წლების პერიოდს ეხებოდა, ეკონომიკური ზარალი 3 ტრლნ ევროზე მეტს შეადგენდა. ამჯერად WMO შენიშნავს, რომ, მართალია, ეკონომიკური ზარალი გაიზარდა, მაგრამ გაფრთხილების გაუმჯობესებულმა ადრეულმა სისტემებმა, სტიქიური კატასტროფების მართვის კოორდინირებულმა მენეჯმენტმა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ადამიანთა მსხვერპლი შეამცირა. სტიქიური უბედურებების შედეგად მსოფლიოში დაფიქსირებული სიკვდილიანობის 90%-ზე მეტი განვითარებად ქვეყნებში მოხდა.

51 წლის განმავლობაში მხოლოდ აშშ-მა 1,7 ტრლნ დოლარის ზარალი

განიცადა, რაც მსოფლიო ეკონომიკური ზარალის 39%-ს შეადგენს. ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა და მცირე კუნძულოვანმა განვითარებადმა სახელმწიფოებმა, მათი ეკონომიკის ლირებულეობასთან შედარებით, არაპროპორციულად მაღალი ზარალი განიცადეს.

სტიქიური მოვლენების შედეგები რეგიონების მიხედვით 1970-დან 2021 წლამდე:

- აფრიკა - 1 839 სტიქიური უბედურება; დაიღუპა 733 585 ადამიანი, რომლის 95% გვაღვას ემსხვერპლა.

ეკონომიკური ზარალი 43 მლრდ დოლარი.

- აზია - 3 612 სტიქიური კატასტროფა; 984 263 დაღუპული ადამიანი, რამაც მსოფლიოში დაღუპულთა საერთო როდენობის 47% შეადგინა. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ტროპიკული ციკლონები იყო. ეკონომიკურმა ზარალმა 1,4 ტრლნ დოლარი შეადგინა. აზიაში დაღუპულთა ყველაზე მეტი რიცხვით ბანგლადეში გამოიჩნევა, სადაც 281 მოვლენას 520 758 ადამიანი ემსხვერპლა.

- სამხრეთ ამერიკა - 943 სტიქიური უბედურება, რომელთაგან 61% წყალდიდობაა. დაიღუპა 58 484 ადამიანი, ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა 115,2 მლრდ დოლარი შეადგინა.

- ჩრდილოეთ ამერიკა, ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი - 2 107 სტიქიური მოვლენა. დაიღუპა 77 454 ადამიანი; ეკონომიკური ზარალი 2.0 ტრლნ დოლარი, რაც მსოფლიო ეკონომიკური ზარალის 46% შეადგენს. უმეტესი ნაწილი ქარიშხალთან დაკავშირებულ კატასტროფებს, კერძოდ, ტროპიკულ ციკლონებს მიეკუთვნება.

- სამხრეთ-დასავლეთ წყნარი ოკეანე - 1 493 სტიქიური კატასტროფა; დაიღუპა 66 951 ადამიანი. სიკვდილის მთავარი მიზეზი ტროპიკული ციკლონები იყო. ეკონომიკური ზარალი 185,8 მლრდ დოლარი.

- ევროპა - 1 784 სტიქიური უბედურება. დაიღუპა 166 492 ადამიანი, რაც მსოფლიოში დაღუპულთა 8%-ს შეადგენდა. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი ექსტრემალური ტემპერატურა იყო. ეკონომიკური ზარალი 562.0 მლრდ დოლარს შეადგენს, რისი მთავარი მიზეზიც წყალდიდობებია.

WMO-მ ეს მარეგნებლები სიკვდილიანობისა და ეკონომიკური დანაკარგების ატლასის (Atlas of Mortality and Economic Losses) ფარგლებში განაახლა, რომელიც 50-წლიანი პერიოდის ამინდის, კლიმატისა და წყლის ექსტრემალურ მოვლენებს ეხება. წინა ანგარიში 1970-2019 წლებს მოიცავდა.

WMO-მ ახალი დასკვნა მსოფლიო მეტეოროლოგიური მე-19 კონგრესისთვის გამოსცა, რომელიც 22 მაისი-2 ივნისის პერიოდში გაიმართა. კონგრესი ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

| ლოტი | მისამართი | ქონების დასახელება | ფართობი კვ.მ. | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში) | „ბე“ საწყისი ფასი (%) | „ბიჯი“ საწყისი ფასი (%) | „მონაწილეობის ბილეთის“ ფასი (ლარებში) |
|------|---------------------------------|--|---|------------------|-------------------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------------------------|
| 1 | ქ.დედოფლისწყარო რუსთაველის ქუჩა | N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული | 129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი) | 52.08.35.255 | 30 000 | 10% | 5% | 100 |
| 2 | სოფელი არბოშვი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 | 1521 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 | 52.03.34.040.003 | 30 420 | 10% | 5% | 100 |
| 3 | სოფელი არბოშვი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 | 183 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 | 52.03.34.040.029 | 20 000 | 10% | 5% | 100 |
| 4 | სოფელი სამრეკლო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 4896 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.07.37.361 | 12 000 | 10% | 5% | 100 |
| 5 | სოფელი სამრეკლო | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 2448 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 52.07.37.362 | 6 000 | 10% | 5% | 100 |

აუქციონი მონაწილეობის მიღება ვაუჩერით:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13:00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუ-

შაო დღეს, 13:00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15:00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დადასტურება უკონტარქო, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

კოდი - 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კოდი - 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დადასტურებალი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად და მოწმობის სადაფიშხალო დოკუმენტაციის ასლი და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი აქტიური საბანკო რეკვიზიტები (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად და მოწმობის სადაფიშხალო, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება ვაუჩერით:

აუქციონში მონაწილეობის მიღება ვაუჩერით:

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ბაზა:

599 85 58 40 სააუქციონო კომისია

| ამინდი | | დედოფლისწყარო | | | | | | | | | | | |
|----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|--------------|-------------|-----|------|-----|------|-----|------|----|
| ორშაბათი 23.10 | სამშაბათი 24.10 | ოთხშაბათი 25.10 | ხუთშაბათი 26.10 | პარასკევი 27.10 | შაბათი 28.10 | კვირა 29.10 | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | |
| 19° | 7° | 21° | 9° | 19° | 8° | 18° | 8° | 19° | 10° | 20° | 9° | 19° | 8° |

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ილია პარტყალაშვილი წერილში მოყვანილი ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი. | სარედაქციო კოლეგია: ჭაჭაია შინაპილი (ჟურნალისტი); ილია ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ხარაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანდაკი (საქმის მწარმოებელი). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში. | რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი) | რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468. გაზეთის გამომწერა ნელინადმი - 20 ლარი |
|---|---|---|---|